

შპს აი ჯი აგრო

ინდივიდუალური

არა-აუდირებული

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	6
ინდივიდუალური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	7

შპს „აი ჯი აგრო“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	26,535,425	27,262,558
გრძელვადიანი ინვესტიციები	2,241,905	2,241,905
ბიოლოგიური აქტივები	14,550	14,550
არამატერიალური აქტივები	15,501	24,929
სულ გრძელვადიანი აქტივები	28,807,381	29,543,942
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	3,666,039	3,333,416
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,353,228	1,120,679
საგადასახადო აქტივი	81,588	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	366,907	1,248,916
სულ მოკლევადიანი აქტივები	8,467,762	5,703,010
სულ აქტივები	37,275,143	35,246,952
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	82,000	82,000
გაუნაწილებელი მოგება	(19,072,312)	(11,445,693)
სულ კაპიტალი	(18,990,312)	(11,363,693)
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	52,977,750	41,117,850
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	52,977,750	41,117,850
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	270,357	3,663,938
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	3,017,348	1,794,940
საგადასახადო ვალდებულებები	0	33,917
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3,287,705	5,492,794
სულ ვალდებულებები	56,265,454	46,610,645
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	37,275,143	35,246,952

ივერი კავსაძე
დირექტორი



ელენე ნემსაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „აი ჯი აგრო“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	26,535,425	27,262,558
გრძელვადიანი ინვესტიციები	2,241,905	2,241,905
ბიოლოგიური აქტივები	14,550	14,550
არამატერიალური აქტივები	15,501	24,929
სულ გრძელვადიანი აქტივები	28,807,381	29,543,942
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	3,666,039	3,333,416
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,353,228	1,120,679
საგადასახადო აქტივი	81,588	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	366,907	1,248,916
სულ მოკლევადიანი აქტივები	8,467,762	5,703,010
სულ აქტივები	37,275,143	35,246,952
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	82,000	82,000
გაუნაწილებელი მოგება	(19,072,312)	(11,445,693)
სულ კაპიტალი	(18,990,312)	(11,363,693)
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	52,977,750	41,117,850
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	52,977,750	41,117,850
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	270,357	3,663,938
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	3,017,348	1,794,940
საგადასახადო ვალდებულებები	0	33,917
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3,287,705	5,492,794
სულ ვალდებულებები	56,265,454	46,610,645
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	37,275,143	35,246,952

ივერი კავსაძე

დირექტორი

ელენე ნემსაძე

ფინანსური დირექტორი

შპს „აი ჯი აგრო“

ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის
ანგარიშგება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	12,584,379	9,440,913
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თავდაპირველი აღიარება	592,480	200,646
ნედლეული და გამოყენებული მასალები	(12,591,171)	(10,157,527)
თანამშრომელთა გასამრჯელოს ხარჯი	(1,217,089)	(936,895)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,349,631)	(1,502,385)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(1,081,228)	(1,119,323)
წმინდა სავალუტო მოგება/(ზარალი)	(145,350)	(84,620)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	(3,207,610)	(4,159,192)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(4,419,010)	(3,541,711)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(7,626,620)	(7,700,902)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის მოგება/(ზარალი)	(7,626,620)	(7,700,902)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის სრული მოგება/(ზარალი)	(7,626,620)	(7,700,902)

ივერი კავსაძე
დირექტორი



ელენე ნემსაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „აი ჯი აგრო“

**ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის
ანგარიშგება**

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	12,584,379	9,440,913
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თავდაპირველი აღიარება	592,480	200,646
ნედლეული და გამოყენებული მასალები	(12,591,171)	(10,157,527)
თანამშრომელთა გასამრჯელოს ხარჯი	(1,217,089)	(936,895)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,349,631)	(1,502,385)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(1,081,228)	(1,119,323)
წმინდა სავალუტო მოგება/(ზარალი)	(145,350)	(84,620)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	(3,207,610)	(4,159,192)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(4,419,010)	(3,541,711)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(7,626,620)	(7,700,902)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის მოგება/(ზარალი)	(7,626,620)	(7,700,902)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის სრული მოგება/(ზარალი)	(7,626,620)	(7,700,902)

ივერი კავსაძე
დირექტორი

ელენე ნემსაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „აი ჯი აგრო“

კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური
ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	(408,424)	(408,424)
წლის მოგება/(ზარალი)	0	(3,336,366)	(3,336,366)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	(3,744,790)	(3,744,790)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	82,000	0	82,000
წლის მოგება/(ზარალი)	0	(7,700,903)	(7,700,903)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	82,000	(11,445,693)	(11,363,693)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	0	0	0
წლის მოგება/(ზარალი)	0	(7,626,620)	(7,626,620)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	82,000	(19,072,313)	(18,990,313)

ივერი კავსაძე
დირექტორი



ელენე ნემსაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „აი ჯი აგრო“

კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური
ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	(408,424)	(408,424)
წლის მოგება/(ზარალი)	0	(3,336,366)	(3,336,366)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	(3,744,790)	(3,744,790)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	82,000	0	82,000
წლის მოგება/ (ზარალი)	0	(7,700,903)	(7,700,903)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	82,000	(11,445,693)	(11,363,693)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	0	0	0
წლის მოგება/ (ზარალი)	0	(7,626,620)	(7,626,620)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	82,000	(19,072,313)	(18,990,313)


ივერი კავსაძე
დირექტორი

ელენე ნემსაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „აი ჯი აგრო“


ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი მოგების გადასახდამდე	(7,626,620)	(7,700,903)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,081,228	1,119,323
საპროცენტო ხარჯი	4,833,621	4,536,301
გადაფასება და კონვერტაცია	648,026	(281,481)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საშუალო კაპიტალის ცვლილე	(1,063,745)	(2,326,760)
ცვლილებები საშუალო კაპიტალში		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან, საწარმოს პერ	(3,188,144)	900,025
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	(332,623)	2,690,296
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებ	(3,392,345)	880,666
საგადასახადო ვალდებულებები	(115,505)	
გადახდილი პროცენტი	(3,692,580)	(3,595,021)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკა	(11,784,943)	(1,450,794)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიწის ნაკვეთების შეძენა	(144,926)	2,204,365
საინვესტიციო ქონების შეძენა	-	(2,241,905)
შენობა-ნაგებობების შეძენა	-	(476,096)
მანქანა-დანადგარების და სხვა მოწყობილობების შეძენა	(149,315)	(1,067,801)
თხილის ნერგების შეძენა	-	(14,550)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(27,076)	(30,646)
სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა	(23,349)	(11,953)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი	(344,666)	(1,638,586)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	16,140,734	6,201,506
სესხის დაფარვა	(4,805,707)	(2,654,294)
კაპიტალში შეტანა	-	82,000
საფინანსო საქმიანობაში მიღებული/ (გამოყენებული) წმინდა	11,335,027	3,629,212
Net decrease in cash and cash equivalents	(794,582)	539,832
ვალუტის კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვი	(87,427)	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,248,916	709,083
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	366,907	1,248,916



ივერი კავსაძე
დირექტორი





ელენე ნემსაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „აი ჯი აგრო“

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე	(7,626,620)	(7,700,903)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,081,228	1,119,323
საპროცენტო ხარჯი	4,833,621	4,536,301
გადაფასება და კონვერტაცია	648,026	(281,481)
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილე	(1,063,745)	(2,326,760)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან, საწარმოს პერ	(3,188,144)	900,025
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	(332,623)	2,690,296
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებ	(3,392,345)	880,666
საგადასახადო ვალდებულებები	(115,505)	
გადახდილი პროცენტი	(3,692,580)	(3,595,021)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკა	(11,784,943)	(1,450,794)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიწის ნაკვეთების შეძენა	(144,926)	2,204,365
საინვესტიციო ქონების შეძენა	-	(2,241,905)
შენობა-ნაგებობების შეძენა	-	(476,096)
მანქანა-დანადგარების და სხვა მოწყობილობების შეძენა	(149,315)	(1,067,801)
თხილის ნერგების შეძენა	-	(14,550)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(27,076)	(30,646)
სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა	(23,349)	(11,953)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი	(344,666)	(1,638,586)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	16,140,734	6,201,506
სესხის დაფარვა	(4,805,707)	(2,654,294)
კაპიტალში შეტანა	-	82,000
საფინანსო საქმიანობაში მიღებული/ (გამოყენებული) წმინდა	11,335,027	3,629,212
Net decrease in cash and cash equivalents	(794,582)	539,832
ვალუტის კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვი	(87,427)	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,248,916	709,083
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	366,907	1,248,916

ივერი კავსაძე
დირექტორი

ელენე ნემსაძე
ფინანსური დირექტორი

ინდივიდუალური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „აი ჯი აგრო“ თხილის წარმოებაზე სპეციალიზირებული სასოფლო-სამეურნეო კომპანიაა, რომელიც ფლობს 642 ჰექტარ თხილის ბაღებს. 2021 წელს დაარსებული კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. ის დაფუძნებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 405446370.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თხილის გადამამუშავება შემდგომი რეალიზაციისთვის. იგი აწარმოებს ქართული და იტალიური თხილის სახეობებს, ძირითადად ყიდის ექსპორტზე. ქარხანას აქვს სრული საწარმოო ხაზი, შესყიდვის, გადამამუშავებისა და შეფუთვის ჩათვლით. კომპანიის ყურადღება უმთავრესად გამახვილებულია მაღალხარისხიან პროდუქტებზე. ბიზნესის განვითარების პროცესში, ჩამოყალიბდა ორი ძირითადი აქტივობა: უკვე არსებული პლანტაციიდან თხილის მოსავლის აღება, გადამამუშავება და გაყიდვა და ადგილობრივი ფერმერებისგან თხილის შესყიდვა, გადამამუშავება და გაყიდვა. საწარმო მდებარეობს ზუგდიდში, ხოლო ბაღები განლაგებულია სამეგრელოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ: ჭითაწყარში, თეკლათში, ახალსოფელში, ლესიჭინეში და გურიფულში. ამასთანავე კომპანია ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელი და ინვესტორია საქართველოს დასავლეთ რეგიონში.

მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მსს ფასს“-ის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო და საპრეზენტაციო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (ლ). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან აღიარდება მოგებაში ან ზარალში ფინანსური მოგების ან ხარჯის სახით მუხლში „საოპერაციო მოგება/(ზარალი)“. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „ფინანსური შემოსავალი/ხარჯი“. ყველა სხვა უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „საოპერაციო მოგება/(ზარალი)“.

წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საშუალო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი 1= ლარი	2.7227	2.6327
ევრო 1= ლარი	2.9455	2.8543

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით, და საჭიროებისამებრ, გაუფასურების ანარიცხებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის შეძენასთან. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ყველა სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსახვანად მათი წინასწარგანზრახული გამოყენებისთვის.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და ზარალი დგინდება მიღებული შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვთა. მიწას ცვთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად და მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

• შენობა-ნაგებობები	20 წელი
• მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	10 წელი
• საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	5 წელი
• ავტომობილები	5 წელი

ბიოლოგიური აქტივები. კომპანიის ბიოლოგიური აქტივები მოიცავს ნაყოფის მომცემ მცენარეებს, ნერგებს, ნაყოფის მომცემ მცენარეებზე მოყვანილ და დაკრეფილ კულტურებს (დაუკრეფავი კულტურები- თხილი). ნაყოფის მომცემი მცენარეები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები; ნერგები და დაკრეფილი კულტურები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივები და შესულია მარაგში.

ნაყოფის მომცემი მცენარეები. ნაყოფის მომცემი მცენარეები განისაზღვრება როგორც ცოცხალი მცენარე, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში ან მიწოდებაში, მოსალოდნელია, რომ ნაყოფს აწარმოებს ერთ პერიოდზე მეტჯერ და გააჩნია მცირე ალბათობა იმისა, რომ გაიყიდება როგორც სოფლის მეურნეობის ნაწარმი, გარდა შემთხვევითი მიზერული რაოდენობის გაყიდვებისა. ნაყოფის მომცემი მცენარეები აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, საჭიროებისამებრ. ნაყოფის მომცემი მცენარეები აღირიცხება ისევე, როგორც საწარმოს მიერ შექმნილი ძირითადი საშუალებები მანამ, სანამ ისინი არიან იმ მდგომარეობაში და პირობებში, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ხელმძღვანელობის მიერ განზრახული გზით ოპერირება, სანამ ისინი არ მიაღწევენ მოწიფულობას. მოსალოდნელია, რომ კომპანიის თხილის ხეები სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებას დაიწყებს დარგვიდან 4 წლის შემდეგ, თუმცა

მაქსიმალურ მოსავლიანობას დარგვიდან 7-8 წლის შემდეგ მიადწევს და ამ მომენტისთვის დაუსრულებელი ნაყოფის მომცემი მცენარეები გადავა ნაყოფის მომცემ მცენარეებში. მომწიფების მიდწევს შემდეგ, ნებისმიერი შემდგომი დანახარჯი გაიწერება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გაზრდის ნაყოფის მომცემი მცენარეების სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს.

ნერგები. ნერგები კლასიფიცირდება, როგორც ბიოლოგიური აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ცვეთა არ ერიცხება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. კომპანიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შეიცავს მოკრეფილ თხილს. მოკრეფილი თხილი შესულია გასაყიდ მარაგებში და თავდაპირველად გამოითვლება მათი საბაზრო ღირებულებით, გამოკლებული მოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, მოთხოვნამდე ღებოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით და თავის მხრივ თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს მხოლოდ ნედლეულს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი რეალური ღირებულებით აღიარდება.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდგომ კი გადაფასდება ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად.